პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

კომუნისტი

1920 — 1978

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი 18 ნოემბერი 1978 წ. № 269 (17313) ფასი 2 კაპ.

სიცოცხლის წყარო

ბუნებამ ადამიანს საოცარი ბუნებისადმი, ზრუნვა მისი მოვლა-პატრონობისათვის. ჩვენში ახლა გეგმაზომიერი, მეცნიერული მუშაობა მიმდინარეობს საერთოდ გარემოს და კერძოდ ჰაერის, წყლის გაჭუჭყიანების თავიდან აცილებისათვის.

ბუნებას იცავს ჩვენი სამშობლოს ხალხთა დიადი ქარტია — სსრ კავშირის კონსტიტუცია. მისი მოვლის, გაჯანსაღებისათვის, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი ხორციელდება, საერთო-სახალხო, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭება ამ საშვილიშვილო საქმეს. ბუნების დაცვის გაძლიერების და ბუნებრივი რესურსების გამოყენების გაუმჯობესების თაობაზე მიღებულია პარტიისა და მთავრობის დიდმნიშვნელოვანი დადგენილებები, მას ეძღვნება საბჭოების სესიები, მასობრივი ერთთვიურები, სამინისტროთა, უწყებათა პრაქტიკული საქმიანობა.

სწორედ ბუნების და საერთოდ გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების კომპლექსურ პრობლემებს ეძღვნება რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც ამ დღეებში თბილისში გაიმართება. ეს უთუოდ დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება იქნება ამ საშვილიშვილო საქმის შემდგომი წინსვლისათვის, ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის საწარმო მრავალმხრივი ღონისძიებების განხორციელების შედეგად ბევრი რამ გაკეთდა ჩვენს რესპუბლიკაში ბუნების დაცვისათვის, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის, ჰაერის, წყალსატევების, მდინარეების გაჭუჭყიანების თავიდან აცილებისათვის.

მარტო უკანასკნელ ხანებში ჩვენი დედაქალაქის ტერიტორიიდან სსრ საწარმო გაგანელ იქნა მის ფარგლებს გარეთ, მრავალ სამრეწველო საწარმოში დაინერგა ახალი ტექნოლოგიური პროცესები, შეიცალა ღუმელები და დანადგარები, დამონტაჟდა გამონაბოლქვი ჰაერის, მტვრის და წყლის გასაწმენდი მოწყობილობანი.

ვარეშოს დაცვის მიზნით მნიშვნელოვანი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები მიმდინარეობს. მაგალითად, მზადდება პროექტი გასაწმენდი ნაგებობების მოწყობილობის დასამზადებლად, რომელიც სამშენ მასალათა მრეწველობის საწარმოებისათვის არის გათვალისწინებული. საჭირო გამოკვლევები მიმდინარეობს თბილისის ფოლადფუჭსამხმელო ქარხნის საამქროებში გამონაბოლქვი ჰაერის გასაწმენდი მოწყობილობის საპროექტო მონაცემების დასადგენად. ასევე სამუშაოებია გათვალისწინებული დიმიტროვის სახელობის საავიაციო, ბათუმის ელექტრომექანიკურ და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნებში.

გარემოს და კერძოდ ჰაერის გაჭუჭყიანებისაგან დაცვისათვის მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა რუსთავის საწარმოებში, ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში, ბათუმის, აბაშის ჯანმრთელობის დაცვის კერებში. მაგრამ ყოველივე ეს მაინც არ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. ამ საქმეში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. ზოგიერთი სამინისტრო, უწყება, საწარმო, სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი საჭირო ღონისძიებებს არ ახორციელებს ამ საკითხზე ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დადგენილებების განუხრელად შესრულებისათვის.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ არ სრულდება გასაწმენდ და საკანალიზაციო ნაგებობათა მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და შეკეთების გეგმები. ყოველთვის როდი ზრუნავენ ქალაქის ფარგლებს გარეთ ზოგიერთი საწარმოს გატანისათვის. მაგალითად, თბილისის რკინა-ბეტონის, თამბაქოს ქარხნები, ზოგიერთი უწყების გარაჟები ჯერ კიდევ არ გაუტანიათ ქალაქის ფარგლებს გარეთ. ბევრგან ჰაერის გასაწმენდი ნაგებობები ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნებს, რადგან მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ან დეფექტიანია, ან საერთოდ არ მოქმედებს. ასეა, მაგალითად, რუსთავში. აქ ამგვარი დანადგარების 70 პროცენტი არ მუშაობს, რადგან არ გააჩნიათ დაჭერილი მტვრის გასატანი და გადასამუშავებელი მოწყობილობანი. კვლავ სერიოზული ნაკლოვანებებია ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში და რესპუბლიკის სხვა საწარმოებში.

უთუოდ არადამაკმაყოფილებელია მდინარეების და წყალსაცავების გაჭუჭყიანებისაგან დაცვისათვის განხორციელებული ღონისძიებანი. ჩვენში არსებული წყლის გაჭუჭყიანებისაგან დაცვის 320 გასაწმენდი მოწყობილობიდან უმრავლესობა ცუდად მუშაობს და, რა თქმა უნდა, ძალზე უმნიშვნელო შედეგს იძლევა. ასევე ნაკლებ ეფექტიანია ნახმარი წყლის გასაწმენდი ნაგებობები თბილისის ტექნიკური რეზინის, თევზის ქარხნებში, ლილოს საშენ მასალათა კომბინატში, ავტოსატრანსპორტო გაერთიანებაში, ქუთაისის ხორცკომბინატში, საავტომობილო, ლითოფონის ქარხნებში, რუსთავის, ჭიათურის მთელ რიგ საწარმოებში. ყოველივე ამის შედეგად ბინძურდება მდინარეები მტკვარი, ყვირილა, სურამულა, ჯოჯორა, ტყიბული, ღალიძგა, ენგური, ბზიფი და სხვა. ამას ისიც ემატება, რომ რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და ხაბჭოთა მეურნეობებში არის შხამქიმიკატებისა და სასუქების შენახვის, ტრანსპორტირების, გამოყენების წესების დარღვევის ფაქტები, რაც იწვევს მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების გაჭუჭყიანებას. უთუოდ მოსაწესრიგებელია მეცხოველეობის კომპლექსების და მეფრინველეობის ფაბრიკების ჩამდინარე წყლების გაწმენდის საქმე.

ბევრ ჩვენს მკითხველს ალბათ გაუვლია თბილისის ხორცკომბინატის მიდამოებში, სადაც შეაჯნიეოდა და იგრძნობდა შემაწუხებელ ხუნს და დამძიმებულ ჰაერს. სამწუხაროდ, ასეთი მდგომარეობა მარტო ამ საწარმოს ახლომახლო კი არ არის, არამედ ჩვენი დედაქალაქის 26 კომფორტის და საქართველო რაიონების საკმაოდ დიდ ტერიტორიაზეც ვრცელდება. ერთი სიტყვით, სასაკლაოდან გავრცელებული სუნი აკუჭუჭიანებს ჰაერს და იგი ადამიანისათვის მეტად შემაწუხებელია. განა არ შეგვიძლია რაიმე ვიღონოთ მისი თავიდან აცილებისათვის?

დიახ, ამაზე ღირს დაფიქრება და საჭირო ღონისძიებების განხორციელებაც.

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლებში“ ზუსტად არის ჩამოყალიბებული წყალსატევების სიხუფთავის დაცვის მოთხოვნები და ამოცანები. ისინი ეხება ყველას — პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებს, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, საზღვაო, სამდინარო ტრანსპორტის მუშაკებს, რომლებიც დღენიადაგ უნდა ზრუნავდნენ ამ დარგში კანონმდებლობის ზუსტი შესრულებისათვის.

ბუნების დაცვის მოთხოვნათა შესრულებისადმი კონტროლის გაძლიერება პარტიული და საბჭოთა ორგანოების უპირველესი მოვალეობაა. ამ მხრივ საკმაოდ აქტიურად უნდა მუშაობდნენ საბჭოების დეპუტატები. სახალხო კონტროლის, ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკები. ჩვენი კადრები უნდა აღვზარდოთ ბუნებრივი რესურსების დაცვისა და გამოყენებისათვის მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით. ამ საქმეში ფართოდ უნდა ჩავბათ საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. აქტივი.

ბუნების დაცვა სახელმწიფო, საყოველთაო-სახალხო საქმეა. პარტიული კომიტეტები, საბჭოთა ორგანოები უნდა იღვწოდნენ ჰაერის და წყლის საწმენდ ნაგებობათა მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრების მთლიანად ათვისებისათვის, არსებულ მოწყობილობათა ნორმალური მუშაობისათვის. უნდა ავამაღლოთ მომთხოვნელობა სამეურნეო კადრებისადმი გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ დავალებათა უთუო შესრულებისათვის.

ჩვენი ვალია წლის ყოველ დროს ვიცავდეთ ჰაერის, წყლის ცხოველმყოფელობის, მაწიერ სიმდიდრეთა საყუდარს, ადამიანისა და უხვი მოსავლის მოკავშირეს, ათასობით საწარმოო პროცესის აუცილებელ თანამგზავრს და. რაც მთავარია, საერთოდ ჰაერსა და წყალს, ურომლისოდაც წარმოუდგენელია სიცოცხლე.

გუნდოთადი მადლობა

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 61-ე წლისთავის გამო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მრავალრიცხოვანი მისალმებანი და მოლოცვები გამოუგზავნეს მშრომელებმა, პარტიულმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, საწარმოების, დაწესებულებების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებმა, საბჭოთა არმიის და ფლოტის მეომრებმა.

მისასალმებელი წერილები დამაჯერებლად ადასტურებს საბჭოთა საზოგადოების ურღვევ მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას, საბჭოთა ადამიანების უდიდესი სიამაყის გრძნობას ჩვენი ხალხის ისტორიული მიღწევების გამო, რომლებიც მკაფიოდ აისახა სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში. ისინი გამოხატავენ შრომითსა და პოლიტიკურ აღმავლობას, ქალაქისა და სოფლის მშრომელთა — თავიანთი ქვეყნის, მთელი თავიანთი ცხოვრების ნამდვილ ბატონ-პატრონთა — მზარდ ინიციატივასა და თვითმოქმედებას. წერილებში სავსებით იწონებენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიზანმიმართულ-ნაყოფიერ საქმიანობას.

პარტიის საქმისადმი, თავიანთი პატრიოტული მოვალეობისადმი საბჭოთა ადამიანების ერთგულების დამაჯერებელი დადასტურებაა პატაკები ახალი შრომითი წარმატებების, სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ, რომელსაც ამ ბოლო დროს ახალი ფორმები შეემატა და უფრო შედეგიანი გახდა.

ამის თვალსაჩინო გამოვლინება იყო ის, რომ ბევრმა კოლექტივმა სსრ კავშირის კონსტიტუციის პირველი წლისთავისათვის შეასრულა ხუთწლედის სამი წლის დავალებანი. ახორციელებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, სოფლის მშრომელებმა ამინდის რთულ პირობებში მოიწიეს მარცვლეულის რეკორდული მოსავალი. ყოველივე ეს რეალური და მნიშვნელოვანი წვლილია კომუნიზმის მშენებლობის საქმეში, ჩვენი ხალხის ცხოვრების, მატერიალური და კულტურული დონის ყოველმხრივ ამაღლების საქმეში.

მოსალოცი წერილები გამოგზავნეს აგრეთვე მოძმე სოციალისტური ქვეყნების ხელმძღვანელებმა, საზღვარგარეთის ქვეყნების კომუნისტურმა, მუშათა და ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიებმა, მთავრობებმა, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებმა, ცალკეულმა მოქალაქეებმა. ჩვენი მეგობრები აღნიშნავენ დიდი ოქტომბრის უდიდეს ისტორიულ მნიშვნელობას, საბჭოთა კავშირის როლს მთელი მსოფლიოს რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებაში. ისინი მზურვალედ ულოცავენ საბჭოთა ხალხს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში, სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფაში მიღწეულ წარმატებებს. ისინი სავსებით უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელ საქმიანობას დაძაბულობის შენელების გაღრმავებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისათვის, გამალებული შეიარაღების ალაგმვის ქმედითი ღონისძიებების განხორციელებისათვის, საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისათვის, რაც შეესაბამება ყველა ხალხის ინტერესებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითად მადლობას მოახსენებენ პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, საწარმოთა, მშენებლობათა, დაწესებულებათა კოლექტივებს, საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომრებს, მოძმე სოციალისტური ქვეყნების ხელმძღვანელებს, საზღვარგარეთის ქვეყნების კომუნისტურ და მუშათა, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიებს, მთავრობებს, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებს, დემოკრატიულ ორგანიზაციებს, აგრეთვე ცალკეულ მოქალაქეებს დიდი ოქტომბრის 61-ე წლისთავის გამო მოლოცვებისა და კეთილი სურვილებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

მენგისტუ ჰაილე მარიამი მოსკოვში ჩამოვიდა

16 ნოემბერს მოსკოვში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოვიდა სოციალისტური ეთიოპიის დროებითი ადმინისტრაციული საბჭოს და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პოდპოლკოვნიკი მენგისტუ ჰაილე მარიამი.

სოციალისტური ეთიოპიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე მენგისტუ ჰაილე მარიამს თვითმფრინავის კიბესთან გულთბილად მიესალმნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი დ. თ. უსტინოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ჯ. ვ. კუზნეცოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სხვა ოფიციალური პირნი.

საფრენ მინდორზე გამწკრივებული იყო საპატიო ყარაული. ლ. ი. ბრეჟნევმა და მენგისტუ ჰაილე მარიამმა ჩამოუარეს საბჭოთა მეომრების მწყობრს. შესრულდა სოციალისტური ეთიოპიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

დედაქალაქის ქუჩები და მოედნები, რომლებთაც მოტოციკლისტთა ესკორტით ჩაიარეს საპატიო ეთიოპიელმა სტუმარმა და საბჭოთა ხელმძღვანელებმა, მორთული იყო ორი ქვეყნის სახელმწიფო ალმებით, მისასალმებელი ტრანსპარანტებით. (საკ. ფოტო).



სურათზე: მოლაპარაკების დაწყების წინ.

ხაკდს-სატელევიზიის ტელეფოტო.

საბჭოთა კავშირ-ეთიოპიის მოლაპარაკება

17 ნოემბერს კრემლში გაიმართა საბჭოთა კავშირ-ეთიოპიის მოლაპარაკება.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებას აწარმოებდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ჯ. ვ. კუზნეცოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სხვა ოფიციალური პირნი.

ეთიოპიის მხრივ-სოციალისტური ეთიოპიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მენგისტუ ჰაილე მარიამი, დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს მუდმივი კომიტეტის წევრები ბერხანუ ბაიე, გესესე ვოლდე კიდანი, დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს ცენტრალური კომიტეტის წევრი ილუგ�ნეტ გირმა.

მოლაპარაკების დროს განიხილეს საბჭოთა კავშირ-ეთიოპიის ურთიერთობის ბევრი საკითხი. მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობა წარმატებით ვითარდება საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ეთიოპიის მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის საფუძვლების დეკლარაციის დებულებათა შესაბამისად. ორივე მხარემ განაცხადა, რომ ესწრაფვიან კვლავაც განაგრძონ შეცადინეობა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა დარგებში საბჭოთა კავშირ-ეთიოპიის თანამშრომლობის გაღრმავების კონკრეტულ ღონისძიებათა განხორციელების მიზნით.

გაიმართა აზრთა გაზიარება აგრეთვე ზოგიერთი აქტუალური საერთაშორისო პრობლემის, კერძოდ აფრიკის მდგომარეობის გამო. საბჭოთა კავშირმა და სოციალისტურმა ეთიოპიამ დაგმეს იმპერიალისტური სახელმწიფოები, რომლებიც ნეოკოლონიალისტურ მანევრებს მიმართავენ საშრეთ აფრიკაში და მსარს უჭერენ რასისტულ რეჟიმებს. მათ ერთსულოვნად აღნიშნეს, რომ პროგრესული რეჟიმების ძირგამოთხრის და კოლონიალიზმისა და რასიზმის კერების შენარჩუნების მიზნით კონტინენტის საქმეებში იმპერიალისტური ჩარევის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს აფრიკის ხალხთა ერთიანობა და შეკავშირება.

აფრიკის რქის რაიონის მდგომარეობასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირმა და ეთიოპიამ დაადასტურეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მიაღწიონ ამ რაიონში ვითარების ნორმალიზაციას პოლიტიკური მოწესრიგების გზით ტერიტორიულ პრეტენზიებზე უარის თქმის, ერთმანეთის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის, საზღვრების ურღვევობის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის დაცვისა და ურთიერთგაგების და კეთილმეზობლობის ატმოსფეროს შექმნის საფუძველზე.

მოლაპარაკება მიმდინარეობდა ამხანაგური გულახდილობის, მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში. (საკდესი).

ა. ნ. კოსიგინმა მიიღო ამერიკის სენატის დელეგაცია

16 ნოემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების სენატის დელეგაცია სენატორ ა. რიბიკოვის მეთაურობით, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით ოფიციალურ ვიზიტად არის ჩამოსული საბჭოთა კავშირში.

საუბრის დროს, რომელიც საქმიან და გულახდილ ვითარებაში მიმდინარეობდა, შეეხნენ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის საკითხებს, აგრეთვე მთელ რიგ საერთაშორისო პრობლემებს.

ა. ნ. კოსიგინმა პრინციპული შეფასება მისცა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის ახლანდელ მდგომარეობას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმას, რომ საჭიროა რაც შეიძლება მალე დაიდოს შეთანხმება სტატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ.

ა. ნ. კოსიგინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ როგორც საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის მთელი გამოცდილება მოწმობს, იგი შეიძლება ვითარდებოდეს ორი ქვეყნის ხალხთა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის ინტერესებისათვის მხოლოდ მაშინ, როცა დაფუძნებულია ერთმანეთის პატივისცემის, თანასწორი პარტნიორობისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის ბაზაზე.

ამასთან დაკავშირებით დაადასტურდა აღნიშნულ საფუძველზე ამერიკის შეერთებულ შტატებთან საბჭოთა კავშირის კონსტრუქციული და სტაბილური ურთიერთობის განვითარების თანმიმდევრული ხაზი, რა თქმა უნდა, იმ პირობით, თუ ამაზე თანახმა ამერიკის მხარეც.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის წევრებმა საჭიროდ ცნეს გააქტიურდეს შეცდენობა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ორმხრივ საინტერესო საკითხების, მათ შორის სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის საკითხის ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებების გზების მისაგნებად.

მენგისტუ ჰაილე მარიამი



გენიჩესკელები მახარაძეში

დიადი მეგობრობის მე-40 წლისთავი

მახარაძე. (იხ. კორ.). 40 წლის წინათ აინთო მახარაძის რაიონისა და უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონების მშრომელთა შემოქმედებითი თანამეგობრობის და სოციალისტური შეჯიბრების ჩირაღდანი, რომელიც სტიმულს აძლევს ორივე რაიონის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებას, ემსახურება მშრომელთა პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის დიად საქმეს.

როგორც „კომუნისტის“ მკითხველებმა იციან, ამას წინათ გენიჩესკში მეგობრობის მე-40 წლისთავის ზეიმზე მიწვეული იყვნენ მახარაძელი მშრომელები. გუშინ კი საქართველოში თბომავალ „კოლხიდათი“ ჩამოვიდა გენიჩესკის მშრომელთა დელეგაცია, რომელიც მონაწილეობას მიიღებს სოციალისტური შეჯიბრებისა და მეგობრობის იუბილეს აღსანიშნავ დღესასწაულში.

თავიანთ ძმადნაფიცებს მახარაძელი მშრომელები ბათუმის ნავსადგურში შეეგებნენ. მეგობრების შეხვედრას დაესწრნენ და სტუმარ-მასპინძლის სიხარული გაიზიარეს აჯარის ასს რესპუბლიკის პარტიულმა და საბჭოთა ხელმძღვანელმა მუშაკებმა.

შეხვედრის ცერემონიის შემდეგ უკრაინელ მშრომელთა დელეგაციამ კურსი მახარაძისაკენ აიღო, აჯარის ასს რესპუბლიკისა და მახარაძის რაიონის საზღვარზე, მდინარე ჩოლოკის ხიდთან მახარაძელი მშრომელები სასურველ სტუმრებს ქართული ჩვეულებისამებრ პურ-ღვინით შეხვდნენ. პარტიის მახარაძის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. დვალიშვილმა ჯ. მახარაძის სიმბოლური გასაღები გადასცა უკრაინის კომპარტიის გენიჩესკის რაიკომის პირველ მდივანს ა. ოუდინს. ძველმა კომუნისტმა, 80 წელს მიღწეულმა გ. ტუღუშმა მამაპაპური სასმისით დალოცა უკრაინელი მეგობრები, რაიონის ვეტერან მომღერალთა გუნდმა „დღალაში“ შეასრულა სიმღერები მეგობრობაზე. პიონერებმა და მოსწავლეებმა თაიგულები მიართვეს უკრაინელ სტუმრებს.

გენიჩესკის მშრომელთა დელეგაციის შემადგენლობაში არიან უკრაინის კომპარტიის გენიჩესკის რაიკომის პირველი მდივანი ა. ოუდინი, რაიხატკომის აღმასკომის თავმჯდომარე ი. ობოდი, კოლმეურნეობა „საქართველოს“ თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი გ. ლეგუნოვი, XXII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. მაზუნოვი, მექანიზატორი, სოციალისტური შრომის გმირი ვ. რიეუნკო, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე დ. ფოკინი, კომკავშირის გენიჩესკის რაიკომის მდივანი ზ. ნიკოლაევა, რაკნოს საშუალო სკოლის დირექტორი ა. მურაშენკო და სხვ.

დღეს უკრაინელი მეგობრები მახარაძის რაიონის ხოფელ შრომის სტუმრები არიან. დამმობილების ინიციატორებთან — შრომის კოლმეურნეობის „მეგობრობის ბაღში“ გაიმართება მიტინგი, შემდეგ კი შეჯამდება სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და გაფორმდება ახალი ხელშეკრულება მომავალი წლისათვის. სტუმრები გაეცნობიან თანამოსაქმეთა გამოცდილებას, ეწვევიან ტაბაკინის, ეკალაკის, ბაბანეულის, ბაბანეულის, ბაბანეულ

მოვალეობის შეგნებით, პასუხისმგებლობის გრძნობით

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის XV პლენუმმა განიხილა საკითხი, თუ როგორ სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების, ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელებს შორის ორგანიზატორული და იდეურ-ამზრდელობითი მუშაობის გაძლიერების ორნისძიებებისა და აფხაზეთის საოლქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ.

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ი. აფლეგანმ.

მომხსენებელმა ორ კამათის მონაწილეებმა აინიშნეს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ეს გადაწყვეტილებანი პერმარტად ისტორიულია . ავტონომიური რესპუბლიკისათვის, სახალხო მეურნეობის ყოველმხრივი განვითარების ახალ ეტაპს, აფხაზეთის მშრომელებს რაზმავენ ხუთწლეულის ამოცანებისა და ეფექტურად შესრულებისათვის. პარტიის პოლიტიკის ცხოვრებაში განუხრელად გატარებისათვის.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის შესახებ დადგენილებათა მიზების შემდეგ პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა და აფხაზეთის ასსრ მინისტრმა საბჭომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უშიალო მონაწილეობითა და დახმარებით განაზორციელეს მთელი რიგი ღონისძიებები, რომელთა მიზანია ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის მთლიანად შესრულება დაწესებულ ვადებში. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა, მეათე ხუთწლეულის დავალებათა წარმატებით განხორციელებისათვის.

პლენუმის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს პარტიული ორგანიზაციების როლი ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების ეკონომიკური, სოციალური განვითარების ყოველი პუნქტის შესასრულებლად შრომითი კოლექტივების დარაზმვაში. ილაპარაკეს იმაზე, თუ რა გაკეთდა ადგილებზე და რა არის დასახული უახლოესი დროისათვის. კერძოდ, დასახულია ძირითადი ღონისძიებანი, რომლებიც დაკავშირებულია ქარხანა „სოხუმხელსაწყოს“ გადართოებასთან, ქალაქ ტყვარჩელში სამრეწველო საწარმოების მშენებლობასთან, სპეირა-საზღვაო და რკინიგზის ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთზიდვის ორგანიზაციის გაუმჯობესებასთან. განსაზოგადოებულია სიკოლრეული სახლების დიდი მასშტაბით მშენებლობა, მცხოვრებთა საბინაო პირობების მკვეთრი გაუმჯობესებისა. აფხაზეთის ზღვისპირა ქალაქებსა და დაბებში გაიზმენდადი სამრეწველო, სამეურნეო და საყოფაცხოვრებო წყლების გაოაკეთების სრული შეწყვეტის საბოშაოთა მოცულობის გადიდების პროგრამა.

საბოლოოდ გადაწყვეტილია საკითხი 1979 წლიდან აფხაზეთის ტყიანში მარქნის დამზადების შეწყვეტის შესახებ. დაწყებულია აფხაზეთის ასსრ ფარგლებში შავი ზღვის ზეტალეკილის რეკონსტრუქციის სამუშაოები. დადგენილია რკინიგზის სოხუმისა და ონჩამიჩირის საგზურების, აფხაზეთის დედაქალაქში რკინიგზელთა დასახლების კეთილმოწყობის სამუშაოების მოცულობა და თანმიმდევრობა.

დამთავრებულია ონჩამიჩირის რაიონის თერმული წყლების ბაზაზე სასთბურე კომბინატის და წელიწადში 8 მილიონი ბროილერის სიმძლავრის მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური საფუძვლის გაანგარიშება.

ქალაქ სოხუმში მთავრდება სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნასთან დაკავშირებული ღონისძიებების შემოქმედება. აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა აფხაზეთის ტოპონიმიკის მოწესრიგებისათვის

თავისი საქმიანობა დაიწყო აფხაზეთის ასსრ ტელევიზიამ, სოხუმში ხორციელდება ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სპორტის დაპროექტება. დამთავრდა წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები აფხაზეთში პოლარიფული ბაზის განმტკიცებისა და ნაბეჭდი პროდუქციის გაზრდისათვის, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების ორგანიზების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებისათვის.

განხორციელდა ამბულატორიენტების შერჩევა და ჩარიცხვა სახალხო მეურნეობისათვის სპეციალისტებს, აღგილობრივი კვალიფიციური კადრების მომზადების მიზნით, რომლებიც უკონკურსოდ ჩაირიცხებიან ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში.

ამასთან ერთად პლენუმზე აღინიშნა, რომ აფხაზეთის პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორგანიზატორული და იდეურ-პოლიტიკური მუშაობა ჯერ კიდევ ვერ პასუხობს იმ ამოცანებს, რომლებიც წამოყენებულია უმნიშვნელოვანეს პარტიულ დოკუმენტებში. ყველგან არ იგრძნობა მაღალი ორგანიზებულობა და დისციპლინა. მთელ რიგ სამეწველო საწარმოებში ჯერ კიდევ არ არის დაწესებული მტკიცე კონტროლი გამომშვებულ პროდუქციის ხარისხზე და ასორტიმენტზე. მიტად ნელი ტემპით გარდაქმნიან თავიანთ მუშაობას ტრანსპორტისა და სამშენებლო ორგანიზაციები.

ზოგიერთ რაიონში სოფლის მეურნეობის პროდუქციის მნიშვნელოვანი სახეობის დამზადების მდგომარეობა საგრძნობლად აფერხებს გეგმის შესრულებას. ყველგან როი ჩანს საქმისადმი კომუნისტური დამოკიდებულება, დაბალია შრომითს კოლექტივებში ახალ სასარგებლო თაოსნობათა და წამოწყებათა გავრცელების ღონე. საკმაო მუშაობა არ წარმოებს იმისათვის, რომ მხარი დაუჭირონ და გაავრცელონ ქ. ქუთაისის და ქ. თბილისის პირველის მაისის რაიონის მშრომელთა თაოსნობა — ეიმოშაოთ ისე, რომ არ გეყოფოდეს ჩამორჩენილი საწარმოები.

ნელი ტემპით მიმდინარეობს ეაჭრობასა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაში საქმიანობის გარდაქმნა, მომსახურების კულტურის ამაღლება, განსაკუთრებით სოფლებში. ბევრგან სათანადო მზრუნველობა არ ჩანს კულტურული საგანმანათლებელ დაწესებულებათა მუშაობის გასაუმჯობესებლად.

პლენუმზე აღინიშნა, რომ საჭიროა სახალხო განათლების ორგანოების საქმიანობის სრულყოფა, ხაზი გაესვა პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა მუშაობის ნაკლოვანებებს.

ყველა ისინი, განსაკუთრებით ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების მიმდინარე ეტაპზე, — აღნიშნავდნენ პლენუმის მონაწილეები,—ძირითადად აიხსნება სამინისტროებისა და უწყებების ბაზარტებში დაბალი საშემსრულებლო დისციპლინით. ამიტომაც აქა-იქ სათანადოდ არ უზრუნველყოფენ . დანაშაულობათა და სხვადასხვა სახის ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ მყაცრ შეურიგებელ ბრძოლას.

პლენუმზე ითქვა, რომ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები არადამაკმაყოფილებლად ზრუნავენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის. პარტიულ-ორგანიზატორული, პოლიტიკურ და აღმზრდელობითს მუშაობაში, კადრების შერჩევასა და განაწილებაში არსებული შეცდომები და ნაკლოვანებანი უარყოფით გავლენას ახდენენ ავტონომიურ რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაუმჯობესების საქმეზე. როგორც მოხსენებელმა, ასევე ამბითის მონაწილეებმა. განსაკუთრებით მოითხოვეს მასეინ მთელი იოეოლოგიური მუშაობის, მშრომელთა პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის მკვეთრი გაუმჯობესება.

პლენუმმა მიიღო ერთული დადგენილება და დაამტკიცა ორგანიზაციელ და მასობრივ-პოლიტიკური ღონისძიებების პერსპექტიული გეგმა აფხაზეთის, ასს რესპ.-ბოიკის ოთაობაზე საბჭოთა კავშირის, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა განსახორციელებლად. შეიქმნა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის XV პლენუმის დადგენილებისა და პლენუმზე დამტკიცებული ღონისძიებების პრაქტიკული განხორციელების კონტროლის შტაბი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ს. ე. ხაბეიშვილი.

ი. ბოგბეჩია,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

ტექნიკას ეუფლებიან

საქართველოს ხუბტროპიკული მეურნეობის ხოხუშის ინსტიტუტი — რესპუბლიკის ერთ-ერთი უმსხვილესი სასწავლებელია, სადაც ექვსი ათასამდე სტუდენტი სწავლობს. ინსტიტუტის კურსდამთავრებულები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რესპუბლიკასა და საზღვარგარეთის ქვეყნებში მუშაობენ.

შემოდგომის ამ დღეებში მექანიზაციის ფაკულტეტის სტუდენტებს პრაქტიკულ მეცადინეობას უტარებენ გამოცდილი მასწავლებლები. ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ნუგზარ ებანოიძე და ანზორ ბაურაძე.

ინსტიტუტის სამანქანო პარკში 200-ზე მეტი სხვადასხვა მანქანაა — ტრაქტორები, სადარავი დანადგარები, კულტივატორები, თვითმავალი შახები, ჩაის სალრეფი მანქანები...

აქვე, ტრაქტორებისა და ავტომანქანების კაოედრაზე უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ახალი სამამულო ტექნიკის გამოცდისა და დანერგვისათვის წარმოებს მეცნიერულ-კვლევითი მუშაობა. დამთავრდა ციტრუსის პლანტაციაში მონორელსური გზის გამოცდა, რომლის დანერგვაც მნიშვნელოვნად გააიოლებს ციტრუსის პლანტაციების დამუშავებას, მკურნალობას, მოვლასა და მოსავლის აღებას, ტრანსპორტირებას.

სურათზე: მცირეგაბარიტიანი სახოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენების პრაქტიკულ მეცადინეობაზე.

ი. ბოხონელიძის ფოტო (საქინფორმი).

გამოცდილების გაზიარება

თბილისში იმყოფება ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების პასუხისმგებელი თანამშრომელი იან ბრეზინსკი. იგი საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით იდეოლოგიური მუშაობის გამოცდილების გასაზიარებლად.

ამბ. ი. ბრეზინსკი გამოვიდა საქართველოს ტელევიზიით, შეხვდა საქართველოს დედაქალაქის იდეოლოგიურ აქტივს, რომელსაც გააცნო, თუ როგორ არის დაყენებული მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის.

ჩეხოსლოვაკიელ სტუმარს ესაუბრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ე. მ. სირაძე. მან ილაპარაკა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში, კერძოდ, საქართველოს პარტიულ ორგანიზაციაში იდეურ-პოლიტიკური მუშაობის დაყენების შესახებ, გაიზიარა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის თაობაზე სკკპ ცენტრალურ კომიტეტის დადგენილებათა შესასრულებლად რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის იდეოლოგიური საქმიანობის გამოცდილება, რესპუბლიკის მიღებული სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში. ამბ. ე. მ. სირაძემ თქვა, რომ სულ უფრო მტკიცდება თანამშრომლობა, ფართოდდება კულტურული ურთიერთობა საქართველოსა და ჩეხოსლოვაკიას შორის.

ამბ. ი. ბრეზინსკიმ მადლობა გადაიხადა გულთბილი მიღებისათვის და აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საქართველოს პარტორგანიზაციის საგულისხმო გამოცდილებას დიდი მნიშვნელობა აქვს მისი ქვეყნის პარტიული ორგანიზაციისათვისაც.

იან ბრეზინსკი ეწვევა ქუთაისსა და ბათუმს, შეხვდება „ვ ქალაქების იდეოლოგიურ მუშაკებს. (საქინფორმი).

კადრების სწავლება

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიული და საბჭოთა მუშაკების გადამზადების მუდმივმოქმედ კურსებზე მეცადინეობა დაამთავრა მსმენელთა მორიგმა ნაკადმა. გადამზადებას გადიოდნენ რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების მდივნები.

მათ მოისმინეს ლექციები კომუნისტური მშენებლობის მარქსისტულ-ლენინური თეორიისა და პრაქტიკის, პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის, საბჭოთა მშენებლობის აქტუალურ საკითხებზე. თბილისის ზოგიერთი რაიონული საბჭოსა და რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომებში მოეწყო პრაქტიკული მეცადინეობანი.

კურსებზე მეცადინეობის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ე. გ. გელაშვილმა. (საქინფორმი).

მტკიცდება მეგობრობა

თბილისში იმყოფება იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ბაზრის საკითხთა და ზოგადსამეურნეო საქმეთა საკავშირო სამდივნოს ოლეგაცია, რომელსაც სათავეში უდგას საკავშირო მდივნის თანაშემწე ტურიზმის საკითხებში მ. მაზი. იგი ეწვია თბილისსა და მცხეთის კულტურის ცენტრებს, ტურისტულ ობიექტებს. სრულიად საკავშირო საავიაციო საზოგადოება „ინტურისტის“ თბილისის განყოფილების მმართველთან ზ. მახარაძესთან საუბრისას შეეხნენ იუგოსლავიასა და საქართველოს შორის ტურიზმის შემდგომი განვითარების პერსპექტივებს. (საქინფორმი).

სპეშოგლის ხილლოები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში სსრ კავშირის ორდენები და მედლები გადაეცათ ხალხის ჯანმრთელობის დაცვის განვითარებაში ღვაწლმოსილ მოხალეებისათვის დაჯილდოებულ მედიცინის მუშაკთა ჯგუფს, მეცნიერებისა და ლიტერატურის მოღვაწეებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“ გადასცა მესტიის ცენტრალური რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილეს ლ. გ. ნიჟარაძეს, რომელსაც მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

დაჯილდოებულებს გადაეცათ ლენინის, ხალხთა მეგობრობის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენები. მედლები „შრომითი მამაცობისათვის“ და „შრომითი წარჩინებისათვის“.

ჯილდოების გადაცემისას ამხანაგმა გელაშვილმა გულთბილად მიულოცა დაჯილდოებულებს. მან აღნიშნა, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ჩვენს ქვეყანაში ხალხის ჯანმრთელობის დაცვას, ილაპარაკა ექიმის ეთიკაზე, ხალხი გაუსვამ მედიცინის მუშაკთა წინაშე მდგომ ამოცანებს, [illegible] ექიმებს უსურვა [illegible] წარმატებები [illegible] ეფექტიანობა [illegible] ეფექტიანობა [illegible] ეფექტიანობა

საბჭოთა კოსმონავტიკის უთვალსაჩინოესი წარმატება

პრეზიდიუმი საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის

საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის უთვალსაჩინოესი წარმატებად დაგვირგვინდა 1978 წელი. სულ ორი კვირის წინ ბრწყინვალედ დამთავრდა კოსმონავტიკის ისტორიაში უსანგრძლივესი პილოტირებული ფრენა, რომელმაც 140 დღე-ღამის განმავლობაში. ამ მოვლენას მიეძღვნა საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის გამართული პრეს-კონფერენცია, რომელიც 16 ნოემბერს მოეწყო მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკმატო დარბაზში.

დარბაზში იყვნენ სახელოვანი კოსმოსური ფლოტის გმირები ვ. კოვალიონოკი და ი. ივანჩენკოვი, თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერები, რომლებიც კოსმოსური კვლევის საბჭოთა პროგრამის რეალიზაციაში მონაწილეობდნენ, კოსმონავტთა მზადების, ფრენის მართვის ცენტრის ხელმძღვანელები.

პირველი გამოვიდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ა. პ. ალექსანდროვი.

გუშინ კრემლში, თქვა მეცნიერმა, ჩვენი კოსმონავტებისათვის ჯილდოს გადაცემისას ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მაღალი შეფასება მისცა მათს შრომითს ვმირობას და უწოდა მას საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის, საბჭოთა ადამიანების ოცნებისა და ოსტატობის, სიმტკიცისა და თავდადების უდიდესი გმირობა. ამ უნიკალური ფრენის წარმატებას სამართლიანად იხიარებს ათასობით ჩვენი მეცნიერი, ინჟინერი, მუშა, რომლებმაც ამ უბადლო ექსპედიციის ბრწყინვალედ განხორციელებისათვის სრულყოფილი ტექნიკა შექმნეს.

დამთავრებულმა ფრენამ დამაჯერებლად ცხადყო საბჭოური სარაკეტო-კოსმოსური ტექნიკის მაღალი დონე, რომელმაც ურთულესი მეცნიერულ-ტექნიკური ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა უზრუნველყო. ფრენამ გამოავლინა პილოტირებული და ავტომატური სატვირთო ხომალდების მეშვეობით ორბიტული კომპლექსის მომსახურების მაღალი ეფექტიანობა საბორტო სისტემების, აგრეგატებისა და აპარატურის სიმდგრადე. მუშობამ მთელი ფრენის მანძილზე უზრუნველყო დაგეგმილი პროგრამის მთლიანად შესრულება და კოსმონავტებს დიდი წვლილი შეატანინა თანამედროვე კოსმოსური მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში.

თავიანთ ძმადაფიცებთან — პ. კლიმუკთან და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კოსმონავტ მ. გერმაშევსკითან, ვ. ბიკოვსკისთან და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კოსმონავტ ზ. იენთან ერთად მათ მოაწყვეს ერთობლივი კვლევა და ექსპერიმენტები, რომლებიც „ინტერკოსმოსის“ პროგრამის მონაწილე სოციალისტური ქვეყნების მეცნიერებმა და სპეციალისტებმა მოამზადეს. სხვადასხვა სახელმწიფოს წარგზავნილთა ერთობლივი მუშაობა ორბიტაზე შესანიშნავი მაგალითია სოციალიზმის ქვეყნების ხალხთა ძმური ურთიერთობისა. მათი გულითადი მეგობრობა და თანამშრომლობა სამყაროს სივრცეშიც გაიჭრა.

ტრიბუნაზეა თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერი კოსმოსური მედიცინის დარგში აკადემიკოსი ო. გ. გაზენკო.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა დასავლეთის მიერ „ჩინური კოზრის“ გათამაშებას სამართლიანად უწოდა საშიში და ბეცი პოლიტიკა.

შეხვედრის საბჭოთა მონაწილეებმა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ყველა წევრს მოუწოდეს თავიანთი წვლილი შეიტანონ დაძაბულობის შენელების დამკვიდრებისა და საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუჯობესების საქმეში, გამაერთიანონ შეიარაღებისა და სამხედრო- ბიუჯეტების გაბერვის წინააღმდეგ ბრძოლაში, მხარი დაუჭირონ დონისძიებებს ყველა დარგში სსრ კავშირ-ამერიკის შეერთებული შტატების თანამშრომლობისა და ნდობის განმტკიცების გზაზე.

საპასუხო გამოსვლაში ბ. რიბიკოვმა თქვა, რომ ამ შეხვედრების მიზანია გაუჯობესდეს გაგება ორ ქვეყანას შორის და შემცირდეს დაძაბულობა.

მე, აღნიშნა მან, მინდა ვთქვა, თუ როდეს საჭიროა, რომ ურთიერთგაგება იყოს შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს შორის. პირადად მე იმედს მისახავს სტრატეგიული შეტანვრთი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მიმდინარე მოლაპარაკების მალე დამთავრების პერსპექტივა. მე მიგესალმები სამართლიანი ხელშეკრულების პერსპექტივების ორი მიზეზით. პირველი გასლავთ სამხედრო ხარჯების უზარმაზარი თანხის შემცირება. მეორეც ის, რომ სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შეთანხმება გზას გაგვიხსნის შემდგომი მოლაპარაკებისათვის, რომლის შიზანი იქნება ჩვენი ურთიერთობის მოგვარება.

შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს შორის ვაჭრობა საუცხოო შესაძლებლობას გვიქმნის ურთიერთობის გაუჯობესებისათვის. თუმცა ჯერ კიდევ არსებობს პრობლემები ჩვენი სავაჭრო ურთიერთობის სტატუსთან დაკავშირებით, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ მათი გადაჭრა შესაძლებელია, თქვა ბ. რიბიკოვმა.

შეხვედრის მონაწილეებმა თქვეს, რომ დაძაბულობის შენელების პოლიტიკა შეესაბამება საბჭოთა და ამერიკელი ხალხების ინტერესებს, მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეს. აღინიშნა აგრეთვე, რომ ორი ქვეყნის პოზიციებში მთელი რიგი საკითხების გამო გარკვეული განსხვავებაა. ამასთან დაკავშირებით, ხაზი გაუსვეს გამოსულმა ორატორებმა, უნდა გაგრძელდეს ერთობლივი მეცადინეობა, რომლის მიზანია ახალი ნაბიჯის გადადგმა ორ ქვეყანას შორის ნდობისა და თანამშრომლობის განმტკიცების გზაზე.

16 ნოემბერს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში გრძელდებოდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის წევრების საუბარი.

შეხვედრის დროს გაიმართა, კერძოდ, აზრთა გაზიარება სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სავაჭრო-ეკონომიკურ, მეცნიერულ-ტექნიკურ და კულტურულ დარგებში თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ. შეეხნენ საკითხებს, რომლებიც გარემოს დაცვისა და ინფორმაციის გაცვლის პრობლემებთან არის დაკავშირებული.

საუბრის დასასრულს სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ ბ. ნ. პონომარიოვმა.

